

GC აღმანახი

*№1/2 / იანვარი-თებერვალი,
2021 წ.*



სარჩევი

რა პრიორიტეტები აქვს პორტუგალიას ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდში? ...3	
პარიზის „ერთიანი პლანეტის სამიტი 2021“ ბიომრავალფეროვნების დასაცავად5	
უკრაინამ სამხედრო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია მიიღო.....7	
აშშ სამხედრო კონტიგენტს პოლონეთში 20 000 კაცამდე გაზრდის8	
სტრასბურგის სასამართლოში საქართველომ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა.....9	
საარჩევნო სისტემის ცვლილების მოლოდინში11	

ლიკა ჭიპაშვილი, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

რა პრიორიტეტები აქვს პორტუგალიას ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდში?



@EuropeanUnion

„შედეგის დრო: სამართლიანი, მწვანე და ციფრული აღდგენა!“ - სწორედ აღნიშნული დევიზით გეგმავს პორტუგალიის რესპუბლიკა 2021 წლის 1 იანვრიდან მომავალი ექვსი თვის ვადით უხელმძღვანელოს ევროკავშირის საბჭოს.

თავმჯდომარეობის პატივი პორტუგალიის რესპუბლიკას - 1986 წელს ევროკავშირში გაწევრიანებიდან დღემდე - უკვე მეოთხედ ერგო. ამჯერად, ევროპული გაერთიანების ხელმძღვანელობა პორტუგალიელებს სრულიად არაორდინალურ კონტექსტში - კოვიდ-19 პანდემიის კრიზისულ სიტუაციაში მოუწევთ, რომლის დღის წესრიგში, მეტწილად, ანტი-კრიზისული გეგმის ფარგლებში გამოყოფილი დახმარების პაკეტის კოორდინირებასთან, პანდემიის ფონზე გაღრმავებულ სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობებთან, კლიმატის ცვლილებებთან თუ ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული გამოწვევები დგას.

ევროკავშირის ფუნდამენტური ღირებულებების დაცვა, მწვანე ევროპა, ციფრული ევროპა, სოციალური ევროპა და გლობალური ევროპა - ეს ის ხუთი მთავარი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელსაც პორტუგალიის 6-თვიანი [თავმჯდომარეობის სამოქმედო გეგმა](#) ითვალისწინებს. მათ შორის, პორტუგალია განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას გეგმავს კანონის უზენაესობის, თანასწორობის, პლურალისტური მედიის, სოციალური უფლებების დაცვის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის, დეზინფორმაციის წინააღმდეგ

ბრძოლის კუთხით. ეს იმიტომ, რომ პორტუგალიის პრემიერ-მინისტრ ანტონიუ კოსტას [განცხადებით](#): „პორტუგალია ევროპულ გაერთიანებას სწორედ დემოკრატიისა და თავისუფლების ღირებულებების მოტივით შეუერთდა 1986 წელს და არა ევრო ზონისა თუ ერთიანი ბაზრის გამო, რომელიც იმ დროს არც კი არსებობდა...“.

მოქალაქეების ევროკავშირისადმი რწმენის განმტკიცების მიზნით, პორტუგალია თავმჯდომარეობის პერიოდში აქტიურად გაამახვილებს ყურადღებას სოციალური უფლებების დაცვის გაუმჯობესების ხელშეწყობაზე. სწორედ აღნიშნული მიზნით, მიმდინარე წლის 7-8 მაისს, ევროკავშირის *სოციალური სამიტი* გაიმართება.

კოვიდ-19 პანდემიის გათვალისწინებით, პორტუგალია თავმჯდომარეობის პერიოდში მიზნად ისახავს, აგრეთვე, ე.წ. *ჯანდაცვის ევროპის* განვითარების პოლიტიკის მხარდაჭერას, სამომავლოდ სანიტარულ კრიზისებთან უკეთ გამკლავების თვალსაზრისით. ამასთან, იგი მხარს უჭერს ვაქცინის სამართლიანი განაწილების პოლიტიკას, როგორც ევროკავშირის წევრ, ასევე მის პარტნიორ ქვეყნებთან მიმართებით.

საგარეო მიმართლებით კი აღსანიშნავია, რომ მომავალი ექვსი თვის განმავლობაში, პორტუგალია ფოკუსირებული იქნება მულტილატერალიზმის გაძლიერებაზე, ტრანსატლანტიკური პარტნიორობის, აშშ-ის ამჟამინდელ ადმინისტრაციასთან ახალი დღის წესრიგის განვითარებაზე, ასევე, პარტნიორ ქვეყნებთან, მათ შორის, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, მეზობელ სახელმწიფოებთან არსებული ურთიერთობების ხელშეწყობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პორტუგალიის დამდეგი 6-თვიანი თავმჯდომარეობისას ევროკავშირში მიმდინარე კომპლექსურ გამომწვევებზე დროული საპასუხო ზომების გატარებას უნდა ველოდოთ, მათ შორის, ე.წ. მწვანე პაქტის ფარგლებში *მწვანე ეკონომიკისა* თუ *მწვანე საჯარო მმართველობის* განვითარებას, მით უმეტეს, რომ მწვანე პოლიტიკის მხრივ პორტუგალია ერთ-ერთი სამაგალითო ქვეყანა გახლავთ როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, ასევე მსოფლიო დონეზე. 2020 წელს პორტუგალიის დედაქალაქი [ყველაზე მწვანე ევროპული ქალაქის](#) სტატუსსაც კი ატარებდა.

შესაბამისად, სასურველი იქნებოდა, საქართველომ გაიზიაროს პორტუგალიის გამოცდილება, მაგალითად, მწვანე საჯარო მმართველობის სფეროში, მათ შორის, აღსანიშნავია მწვანე განახლებადი ენერჯიების სანიმუშო პორტუგალიური პოლიტიკა, ქალაქების „გამწვანება“ მწვანე დერეფნების ფართო მოწყობით, მოქალაქეების ჩართულობაზე ორიენტირებული პროექტის - „დარგე ერთი ხე“ ინიცირება, ველოტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა, ასევე, ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა დონის სასწავლო პროგრამებში გარემოს დაცვის თემატიკის აქტიური ინტეგრირება და სხვ.

პარიზის „ერთიანი პლანეტის სამიტი 2021“ ბიომრავალფეროვნების დასაცავად



@OnePlanetSummit

2021 წლის 11 იანვარს, საფრანგეთის რესპუბლიკის დედაქალაქში ყოველწლიური „ერთიანი პლანეტის სამიტი“ გაიმართა, რომლის მთავარი თემა წელს ბიომრავალფეროვნების დაცვას მიეძღვნა.

მიწისა და ზღვის ეკოსისტემების დაცვა; აგროეკოლოგიის განვითარების ხელშეწყობა; ფინანსური რესურსის მობილიზება; ტყის, ბუნებრივი სახეობებისა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა - ეს ის ოთხი ძირითადი მიმართულებაა, რომელიც სამიტის ფარგლებში იქნა [განხილული](#).

სამიტზე გაჟღერებულ სხვადასხვა საკითხს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მსოფლიოს **52 სახელმწიფოს მიერ მიღებული შეთანხმება “The High Ambition Coalition for Nature and People”**, რომელიც მიზნად ისახავს ხელმძღვანელი ქვეყნების მიერ პლანეტის ზედაპირის სულ მცირე **30%-ის უცვლელად კონსერვაციას და მის დაბინძურებისგან დაცვას 2030 წლამდე**. აღნიშნული ინიციატივა საფრანგეთის რესპუბლიკას და კოსტა-რიკას ეკუთვნით, რომლის ზემოაღნიშნულ ხელმძღვანელ ქვეყნებს შორის უმრავლესობას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები შეადგენენ.

„ერთიანი პლანეტის სამიტი“, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის ინიციატივით და გაერო-სთან და მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, 2017 წლიდან ყოველწლიურად იმართება და იგი წელს უკვე მეოთხედ ჩატარდა.

ვფიქრობ, *მწვანე დიპლომატიის* გზით მსოფლიო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე დღეს უკვე ქვეყნების არა არჩევანი, არამედ - ვალდებულებაა. ტექნოლოგიური და სანიტარული გამოწვევების ფონზე კი, მსოფლიო სახელმწიფოების მხრიდან გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ზომების მაქსიმალურად გატარება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სულ უფრო გარდაუვალ მოცემულობად წარმოჩინდება. სწორედ ამიტომაც არის მნიშვნელოვანი საქართველომ გარემოს დაცვის პოლიტიკა ქვეყნის განვითარების პრიორიტეტად დაისახოს და რეალურ შედეგზე ორიენტირებული მწვანე საჯარო მმართველობა განავითაროს. მით უმეტეს, რომ ევროკავშირისა (EU) და გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში ჩატარებული ბოლო ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის [თანახმად](#), საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა კლიმატის ცვლილებებს კაცობრიობის სამ ყველაზე დიდ გამოწვევას შორის ასახელებს სიღარიბისა და ინფექციური დაავადებების გავრცელების შემდგომ, თუმცა, განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „*საქართველოს მოსახლეობამ თითქმის არაფერი იცის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პოლიტიკაზე ან ამ მხრივ საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებზე. გამოკითხულთა რიცხვი, რომელთაც სმენია „ეროვნულად განსაზღვრული წვლილის“ შესახებ, 10%-ს არ აღემატება*“ - აღნიშნულია ევროკავშირი-გაეროს ერთობლივ კვლევაში სახელწოდებით „რა იცის საქართველოს მოსახლეობამ კლიმატის ცვლილების შესახებ?“.

ზემოაღწერილიდან გამომდინარე, მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა კლიმატის ცვლილებებთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკაში დაუყოვნებლივ ქმედებას მოითხოვს. დამდეგი ათწლეულის მანძილზე არსებითია, საქართველომ გაატაროს ისეთი ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკა გარემოს დაცვის მიმართულებით, რომელიც ორიენტირებული იქნება, პირველ რიგში, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვაზე.

გიორგი ანთაძე, მკვლევარი, „ჯეოქეისის“ თავდაცვის და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორი

უკრაინამ სამხედრო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია მიიღო



უკრაინის მინისტრთა კაბინეტმა პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი დაამტკიცა, რომელსაც ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით, ძალაში შეყავს „უკრაინის სამხედრო უსაფრთხოების სტრატეგია“.

აღნიშნული გადაწყვეტილება მთავრობის წევრებმა 2021 წლის 29 იანვარს მიიღეს.

განმარტებითი ბარათის მიხედვით: „უკრაინის სამხედრო უსაფრთხოების სტრატეგია განსაზღვრავს - სახელმწიფოს პრიორიტეტული მიზნებისა და სახელმწიფოს პრიორიტეტების რეალიზაციის გზებსა და საშუალებებს თავდაცვის სფეროში; სახელმწიფოს პოლიტიკის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ტიპის პირობების რეალიზაციას თავდაცვის სფეროში; სამხედრო-პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ შეზღუდვებს; თავდაცვის სფეროს რესურსებით უზრუნველყოფის საკითხებს; თავდაცვის ორგანიზების პერსპექტიულ მოდელს, უკრაინის შეიარაღებული ძალების და თავდაცვის შემადგენელი სხვა ძალების ადგილს სახელმწიფოს თავდაცვის, სტრატეგიისა და საერთო თავდაცვის მიღწევის კრიტერიუმების განსაზღვრის კონტექსტში; უსაფრთხოებისა და თავდაცვის ძალების გამოყენების შესაძლო სცენარებს სახელმწიფოს თავდაცვის ამოცანების შესასრულებლად, კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისად განსაზღვრის მეშვეობით, უკრაინის თავდაცვის ორგანიზების, მისი სუვერენიტეტის დაცვის, ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად; ასევე, სამხედრო და უსაფრთხოების სფეროში რისკების მართვისა და პრევენციისათვის;“

უკრაინის თავდაცვის მინისტრის, ანდრეი ტარანის განცხადებით, სამხედრო უსაფრთხოების სტრატეგია ჩაანაცვლებს უკრაინის სამხედრო დოქტრინას. მასში შემოთავაზებულია კომპლექსური თავდაცვის კონცეფცია და მისი რეალიზაციისთვის განსაზღვრულია არა მხოლოდ შეიარაღებული ძალები, არამედ უსაფრთხოების სექტორის შემავალი ყველა სუბიექტი და სამოქალაქო საზოგადოებაც.

აშშ სამხედრო კონტიგენტს პოლონეთში 20 000 კაცამდე გაზრდის



@Carlos Barria/Reuters

აშშ-ში ადასტურებს პენტაგონის განზრახვას გაიზარდოს პოლონეთში დისლოცირებული სამხედრო ძალების რაოდენობა |აღმოსავლეთის მხრიდან შესაძლო აგრესიის შესაჩერებლად“- ამის შესახებ განცხადება გააკეთა პოლონეთის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებმა, აშშ-ს თავდაცვის მდივანთან ლოიდ ოსტინთან სატელეფონო საუბრის შემდგომ. მისი განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში პოლონეთში 20 000 სამხედრომდე განთავსდება.

ამის გარდა, სატელეფონო საუბრის დროს კიდევ ერთხელ გაესვა აშშ-სა და პოლონეთს შორის სტრატეგიული კავშირის მნიშვნელობასა და ორ ქვეყანას შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაფართოების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში ურთიერთობების განვითარების აუცილებლობას.


ამასთან ერთად, მინისტრებმა განიხილეს მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის შემტევი სტრატეგიული შეიარაღების განთავსების შემცირების შესახებ ხელშეკრულების გაგრძელების საკითხებიც.

ასევე აღინიშნა, რომ ევროპიდან აშშ-ს ჯარების რედისლოკაციის შესახებ გადაწყვეტილების შეჩერება არ აისახება პოლონეთში მყოფი ამერიკელი სამხედროების რაოდენობის გაზრდის მიღებულ გადაწყვეტილებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი, პირველ რიგში ვაშინგტონისა და ვარშავის აზრით, აღმოსავლეთიდან აგრესიის საფრთხე არის. აღნიშნული რაოდენობის გაზრდა, არ მოხდება გერმანიაში ამ ევროპის რომელიმე სხვა ქვეყანაში მყოფი ამერიკული კონტიგენტის ხარჯზე.

აღსანიშნავია, რომ როგორც ბოლო მოვლენები აჩვენებს, ევროპის კონტიგენტზე აშშ-ს სამხედრო ძალების განთავსებისა და რაოდენობის შესახებ აშშ-ს წინა ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება როგორც ჩანს მნიშვნელოვნად გადაიხედება.

პროფ. ხათუნა ბურკაძე, „ჯეოქეისის“ ამერიკანისტიკისა და ევროატლანტიკური მიმართულების დირექტორი

სტრასბურგის სასამართლოში საქართველომ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

@europewatchdog

2021 წლის 21 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, რუსეთის ფედერაციამ საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები ხელყო. საქართველო ომის მსხვერპლი, დაზარალებული სახელმწიფოა.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება 4 ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს მოიცავს. კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა:

1. ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია;
2. რუსეთის ფედერაცია ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში ოკუპაციას ახორციელებს;
3. რუსეთის ფედერაციამ ქართველების ეთნიკური წმენდა განახორციელა;
4. რუსეთის ფედერაციამ ხელყო საქართველოს მოქალაქე სამოქალაქო პირებისა და სამხედროების ფუნდამენტური უფლებები. კერძოდ, საუბარია საქართველოს მოქალაქე სამოქალაქო პირებისა და სამხედრო ტყვეების წინააღმდეგ განხორციელებულ არაადამიანური მოპყრობისა და წამების ფაქტებზე. გარდა ამისა, დოკუმენტში საუბარია იმაზე, რომ საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციამ ხელყო არა მარტო სიცოცხლის ფუნდამენტური უფლება, არამედ საკუთრების უფლება, თავისუფალი და უსაფრთხო გადაადგილების უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

ბუნებრივია, როდესაც ჩვენ აღნიშნულ საკითხებზე ვსაუბრობთ, ეს გადაწყვეტილება არის ისტორიული მნიშვნელობის, იმიტომ რომ ის ქმნის ძალიან მყარ საფუძველს, რომ ჩვენ მომავალში კიდევ უფრო მეტად გავამყაროთ ჩვენი ინტერესები, როგორც საერთაშორისო სასამართლოებში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ვიდრე ისტორიულ მნიშვნელობაზე კიდევ უფრო მეტად გავამახვილებთ ყურადღებას, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურგის სასამართლო არ აფასებს 8-12 აგვისტოს პერიოდს, ის ასევე ხაზს უსვამს იმას, რომ ამ პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ მკვლევლობებზე გამოძიება უნდა ჩაეტარებინა რუსეთის ფედერაციას და აკისრებს მას ამ პასუხისმგებლობას. შესაბამისად, ის თავისი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში, სწორედ ამ პერიოდის განმავლობაშიც ხაზს უსვამს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფის ფაქტებს. აქვე ისმის კითხვა, რატომ არ აფასებს ის სამხედრო კონფლიქტს? სტრასბურგის სასამართლოს უფლებამოსილება პირველ რიგში გულისხმობს დაადგინოს რა კონკრეტული უფლებები და თავისუფლებები ხელყო ერთმა სახელმწიფომ მეორე სახელმწიფოსთან მიმართებით ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის კონვენციის საფუძველზე და 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება სწორედ ამაზე მიანიშნებს.

აღნიშნული სახელმწიფოთაშორისი დავის წარმატებით დასრულება ქმნის საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცებისთვის მყარ საერთაშორისო სამართლებრივ საფუძვლებსა და რუსეთის ფედერაციის მიერ ჩვენი მოქალაქეების დარღვეული უფლებების აღდგენის ეფექტიანი მექანიზმია. ასევე, ეს ისტორიული გადაწყვეტილება გვამღებს შესაძლებლობას მოვიგოთ ე.წ. განგრძობადი ოკუპაციის საქმე, რომლის თაობაზე საჩივარი 2018 წელს სტრასბურგის სასამართლოში შევიტანეთ და ეხება რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ უმძიმეს დანაშაულებრივ მოქმედებებს. აღნიშნულ საქმეში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ჩვენი გმირების - არჩილ ტატუნაშვილის, გიგა ოთხოზორიას, დავით ბაშარულის მკვლელობის საქმეებზე.


ამასთანავე, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში დადგენილი ფაქტები ხელს შეუწყობს ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესების უზრუნველყოფას როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში, ასევე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში (ეს უკანასკნელი კონკრეტული პირების ბრალეულობის საკითხებს განიხილავს).

ასევე, ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია როგორც სამართლებრივად, ასევე პოლიტიკურად. რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, ეს გადაწყვეტილება ჩვენ გვადლევს შესაძლებლობას, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში დავაყენოთ საერთაშორისო მონიტორების ოკუპირებულ ტერიტორიებზე უშუალოდ შესვლის აუცილებლობის საკითხი, რაც უმნიშვნელოვანესია აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებების დასაცავად. ამასთანავე, ის ამლიერებს ჩვენს პოზიციებს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში და ყოველწლიურად გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში დევნილთა დაბრუნების რეზოლუციის განხილვისას ჩვენს საერთაშორისო მხარდაჭერას განამტკიცებს.

დაბოლოს, სტრასბურგის სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შედეგად უნდა დაიწყოს ახალი ეტაპი ქვეყნის დეოკუპაციისათვის, რათა ჩვენი ქვეყანა მავთულხლართებისგან გათავისუფლდეს და აღდგეს ტერიტორიული მთლიანობა, რომელიც ღერძია, ქვაკუთხედი და სახელმწიფოს მდგრადობის.

ოლეგ (ზაჩო) თორთლაძე, „ჯეოქეისის“ საერთაშორისო და საჯარო სამართლის მიმართულების დირექტორი

საარჩევნო სისტემის ცვლილების მოლოდინში



@IDFI

არჩევნები, როგორც წარმომადგენლობითი დემოკრატიის მთავარი ინსტრუმენტი წლებია, რაც დამოუკიდებელ საქართველოში საზოგადოების განხეთქილების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

როგორც სამართლებრივი და სოციალური ფენომენი, ის სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირების, ძალაუფლების დელეგირების, ინსტიტუციური მმართველობისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის წყაროა. მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსახლეობა სამი ათწლეულია ვერ შეთანხმდა არჩევნების ჩატარების წესსა და ფორმაზე. პრობლემად რჩება, როგორც დაუბალანსებელი კანონმდებლობა, ასევე საარჩევნო დარღვევების მანკიერი პრაქტიკა, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე კენჭისყრის დღეს. საქართველოს საარჩევნო კოდექსის ანალიზი ცხადყოფს, რომ დოკუმენტი საზოგადოებაში ღრმად გამჭდარი ურთიერთ-უნდობლობისა და შიშების ანარეკლია; ის მექანიზმია, რომელმაც ამომრჩეველთა ხმები სახელისუფლებო მანიპულაციისგან უნდა იხსნას. საარჩევნო კოდექსი, სამართლებრივი ფორმითა და შინაარსით არა იმდენად საარჩევნო პროცედურების აღმწერი ინსტრუმენტია, რამდენადაც არჩევნების გაყალბებისგან დამცავი ბარიერი. საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილების ყოველი ციკლის მთავარი მოტივატორია არა ტექნოლოგიურ სიახლეებთან კანონმდებლობის ადაპტაცია, არამედ გასულ არჩევნებზე გამოვლენილი, ამომრჩევლის მოსყიდვის, საარჩევნო ბიულეტენისა და შემაჯამებელი ოქმის გაყალბებისა თუ სხვა დარღვევის პრევენცია. კოდექსი არა საარჩევნო პროცედურაზე საყოველთაო თანხმობის ამსახველი დოკუმენტი, არამედ „წითელ ხაზებში“ გამოხატული დარღვევებისა და მანიპულაციების შიშების ექსპლიკაციაა. რადგან ურთიერთ-უნდობლობას, ხიდეატეხილობასა და შიშებს ვერაფერს ვუხერხებთ, კვლავ საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილების მორიგ ფერხულში ჩავებით. 2021 წლის 2 მარტს საქართველოს პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე წარადგინეს საარჩევნო კოდექსში ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მოიცავს არა ერთ საინტერესო სიახლეს. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი ჯერ არ ფიქსირდება პარლამენტის ვებ გვერდზე და, ამ ეტაპზე, მხოლოდ პრეს რელიზში გაცხადებული კომპონენტების ზოგადი ანალიზის შესაძლებლობა არსებობს, საინტერესო იქნება შემოთავაზებული ინიციატივების ზოგადი შეფასება.

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი გვთავაზობს ცვლილებებს 12 მიმართულებით.

- მუნიციპალიტეტების საკრებულოებში პროპორციული წესით არჩეული წევრების წილის გაზრდა. კერძოდ, თვითმმართველ ქალაქებში - თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი - ყოველ ერთ მაჟორიტარ წევრზე იქნება 4 პროპორციული წესით არჩეული წევრი, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტებში ყოველ ერთ მაჟორიტარ წევრზე იქნება ორი პროპორციული წესით არჩეული წევრი.

აღნიშნული ინიციატივა იმ პროცესის გაგრძელებაა, რასაც საქართველოს საარჩევნო სისტემის პროპორციულ მოდელზე გადასვლა ჰქვია. ადრეც აღგვინიშნავს, რომ არ არსებობს ობიექტურად საუკეთესო საარჩევნო სისტემა, სწორი მოდელია ის, რომელიც ყველაზე მეტად ერგება კონკრეტული ქვეყნის გეოგრაფიულ, პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ თუ სოციალურ მახასიათებლებს. პარტიული კულტურის განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია პროპორციული მანდატების ზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. მოსალოდნელია, რომ ცვლილება ხელს შეუწყობს რეგიონული საკითხების პარტიულ პროგრამებში აქტიურ ინტეგრირებას. ამავდროულად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ წარმომადგენლობის იდეა სწორად განხორციელდეს; ამ მიმართულებით, აუცილებელი იქნება შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარება, რათა კანდიდატების შერჩევის პროცესში წახალისდეს მერიტოკრატიული პრინციპების გამოყენება.

- საარჩევნო ადმინისტრაციის ცენტრალური და საოლქო დონეები დაკომპლექტდება 8 პროფესიული და 9 პარტიული წევრით, პარიტეტის პრინციპით ანუ ერთი პარტია ერთი წევრი.

საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით შენიშვნები ეუთო ოდირის არა ერთ დასკვნაშია გაწერილი. პარტიული მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა და პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული ადმინისტრაცია საარჩევნო პროცესის მაღალი სტანდარტებით ჩატარების აუცილებელი წინაპირობაა. აღნიშნული ცვლილების მიღების შემდეგ, მთავარ გამოწვევად დარჩება პროფესიული ნიშნით შერჩეული კომისიის წევრების დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა. ქართული რეალობის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ ადამიანების ამ ჯგუფზე გავლენის მოპოვებას შეეცდებიან ძალები, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მხრიდან. ამ მიზნით, აუცილებელია არსებობდეს ინსტიტუციური დაცვის მყარი გარანტიები, რომლებიც პრევენციულ ფუნქციასაც შეითავსებენ.

- დაინერგება ამომრჩეველთა ელექტრონული რეგისტრირება და საარჩევნო ბიულეტენების ელექტრონული დათვლის სისტემა.

მსოფლიოს არა ერთი ქვეყანა მრავალი წელია, რაც არჩევნებში ნერგავს ელექტრონულ სისტემებს. ტექნოლოგიური განვითარების წყალობით, შესაძლებელია სხვადასხვა საარჩევნო პროცესის ავტომატიზაცია და სისტემატიზაცია. ერთი ამომრჩეველის მიერ რამდენჯერმე ხმის მიცემის საკითხი ისევე, როგორც დაუბალანსებელი შემაჯამებელი ოქმები ქართული საარჩევნო ისტორიის სამწუხარო თანამგზავრი გახდა. შემოთავაზებული ცვლილებები მძლავრი ინსტრუმენტია პრინციპის „ერთი ამომრჩეველი ერთი ხმა“ უზრუნველსაყოფად. აგრეთვე, ხმის მთვლელი ელექტრონული მოწყობილობების დამონტაჟება ხელს შეუწყობს ხმის დათვლის პროცესში ადამიანური შეცდომების დაზღვევასა და არჩევნების გაყალბების მცდელობებს. როგორც გაჟღერდა, ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგ არჩევნებზე ასეთი მოწყობილობები მხოლოდ უბნების ნაწილზე განთავსდება, რაც სატესტო რეჟიმში ეფექტიანი გამოცდის შესაძლებლობას იძლევა.

- აიკრძალება უბნის დოკუმენტაციის დალუქვის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შესწორების ოქმის შედგენა.
- აიკრძალება საოლქო კომისიების მიერ შესწორების ოქმის შედგენა დოკუმენტაციის გახსნის და ბიულეტენების გადათვლის გარეშე.

უკანასკნელმა საპარლამენტო არჩევნებმა გამოაჩინა იმ პროცედურული ხარვეზების კომპლექტი, რომელიც შემაჯამებელი ოქმების შედგენას თუ მათ კორექტირებას შეეხება. კენჭის ყრის დღის მთავარი კრიტიკის საგანი, სწორედ დაუბალანსებელ ოქმებს უკავშირდება, რაც ისეთი პროცედურული გამოწვევაა, რომლის მარტივი გადალახვაც შესაძლებელია სწორი რეგულირებით. შეთავაზება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნება შემაჯამებელი დოკუმენტების თვითნებური ცვლილების პრევენციისთვის.

- მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა საჩივარი, 73 საარჩევნო ოლქში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოვლინდება ხუთ-ხუთი უბანი, რომელიც გადაითვლება. საერთო ჯამში არჩევნებზე გადაითვლება 365 უბანი, რაც წარმოადგენს უბნების საერთო რაოდენობის 10%.

საარჩევნო ბიულეტენების სწორი დათვლა ქართული რეალობის აქილევსის ქუსლია. არასწორი დაანგარიშება დაკავშირებულია ხოლმე, როგორც კომპეტენციის ნაკლებობასთან, ასევე, არჩევნების შედეგებზე მანიპულაციის სურვილთან. მიუხედავად რიგი საარჩევნო დარღვევების სისხლის სამართლებრივი დასჯადობისა, პირთა პასუხისგებაში მიცემის პრაქტიკა უკიდურესად მწირია. საარჩევნო პროცესზე ზეგავლენის მცდელობის მსურველებს ხელს უწყობს დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც 3 ათწლეულია საარჩევნო დარღვევებთან მიმართებით ყალიბდება. შემოთავაზებული ცვლილება ეფექტიანი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლენილ დარღვევებზე შესაბამის პირებს ადეკვატური პასუხისმგებლობა დაეკისრება. მანამ, სანამ არჩევნების შედეგების მანიპულირების მცდელობაზე სახელმწიფოს რეაგირება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებით შემოიფარგლება, შეუძლებელი იქნება პასუხისმგებლიანი მიდგომის დამკვიდრება. აუცილებელია იმის გააზრება, რომ არჩევნების ჩაშლის/საარჩევნო მანიპულირების ყოველი მცდელობა სახელმწიფო მართლწესრიგის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, რომლის დაუსჯელობა მხოლოდ ახალისებს ამგვარ ქმედებებს.

- გაიზრდება საჩივრების შეტანის და განხილვის ვადები.
- შესაძლებელი გახდება სარჩელის ელექტრონული ფორმით შეტანა.
- შესაძლებელი იქნება ცესკოს მიერ სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარის გასაჩივრება სასამართლოში.

საარჩევნო დავის განხილვასთან დაკავშირებით, მრავალ ნაკლოვანებაზე მიუთითებს ეუთო ოდირის დასკვნები. გამოწვევაა, როგორც გასაჩივრების მცირე ვადები, ასევე ცალკეული აქტების/ქმედებების გასაჩივრების შესაძლებლობა, რაც გავლენას ახდენს სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტიან რეალიზებასა, და უფრო გლობალურად, სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფაზე. შემოთავაზებული ინიციატივები ხელს შეუწყობს პროცესის მიმართ მხარეთა ნდობის გაზრდას, საარჩევნო დავისას სამართლიანი პრინციპების დამკვიდრებასა და საჩივრის წარდგენის ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

- აიკრძალება საარჩევნო უბნებიდან ას მეტრიან რადიუსში ადამიანთა შეკრება და ამომრჩეველთა აღრიცხვა.

წარმოდგენილი ინიციატივა ე.წ. კოორდინატორებისა, თუ საარჩევნო სუბიექტების მხარდამჭერების მხრიდან ამომრჩევლის თავისუფალ ნებაზე ზეგავლენის პრევენციას ემსახურება. ამომრჩეველთა გააქტიურების ის ფორმა, რომელიც საარჩევნო უბანთან სიებით მომარჯვებული ადამიანების მიერ კონტროლის განხორციელებას გულისხმობს, დაბალი საარჩევნო კულტურის მქონე საზოგადოებისთვის აბსოლუტურად ლოგიკური მოცემულობაა. პრობლემის გადაჭრის გრძელვადიანი გზა, რა საკვირველია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას უკავშირდება; თუმცა, გასაგებია მოკლევადიანი გამოსავლის მოძებნის ბუნებრივი სურვილი და საჭიროება. ინიციატივის ეფექტიანობის ექვემდებარება დაყენების საფუძველს იძლევა აქამდე არსებული შეზღუდვა, რომელიც 25 მეტრიან რადიუსს მოიცავდა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ რთულია, როგორც დისტანციის დაცვის ადმინისტრირება, ასევე, დარღვევების გამოვლენა და მათზე რეაგირება. პრობლემა არა მეტრებში, არამედ სტანდარტსა და მიდგომებშია, შესაბამისად, ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტი საზოგადოებრივი წნეხი და ქმედების სოციალური გაკიცხვადობა უნდა გახდეს. რადიუსის 100 მეტრამდე გაზრდა ცვლის მხოლოდ

კოორდინატორებისა და სხვა დაინტერესებული სუბიექტების საარჩევნო ლოგისტიკას და არსებით გავლენას არ ახდენს ამომრჩევლის ნების კონტროლის მავნე პრაქტიკაზე.

- გაფართოვდება იმ საჯარო მოხელეების წრე, ვისაც აეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა.
- აიკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციისთვის საჯარო მოხელეების სამსახურებრივი ნიშნით შეკრება.

პროფესიული, პარტიული გავლენებისგან დაცლილი საჯარო სექტორის ჩამოყალიბება რთული, გრძელვადიანი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროცესია. საარჩევნო აგიტაციაში საჯარო მოხელეების ჩართვა გარდა იმისა, რომ არასამართლიან უპირატესობას აძლევს სახელისუფლო ძალას, ამავედროულად, გამოუსწორებელ რეპუტაციულ და ინსტიტუციურ ზიანს აყენებს სრულიად საჯარო სამსახურს. ამ მიმართულებით, უკანასკნელ წლებში განხორციელებული ცვლილებები ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურია. თუმცა, ჯერ კიდევ რჩება მრავალი გამოწვევა, რომლებიც სამსახურებრივი სტატუსის გამოყენებით ქვემდგომების წინასაარჩევნო აგიტაციისთვის შეკრებას უკავშირდება. წარმოდგენილი ცვლილება ვერ ფარავს პოლიტიკური აგიტაციის მიზნით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და სკოლის მასწავლებლების შეკრებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქართულ რეალობაში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ყველაზე მძლავრი და გავრცელებული მეთოდია.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილი ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში ქართული საარჩევნო სისტემა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, მიუხედავად იმისა, რომ პასუხგაუცემელი რჩება არა ერთი ზემოხსენებული პრობლემა. შემდგომი ეტაპი უნდა იყოს ამომრჩეველთა მხრიდან ინფორმირებული არჩევნის გაკეთების ხელშეწყობა, რაც აუცილებელი წინაპირობაა მაღალი სტანდარტის არჩევნების ჩასატარებლად. პოლიტიკური კლასის გაზრდასთან ერთად, საარჩევნო კანონმდებლობა უნდობლობის კოდექსიდან საერთო თანხმობის დოკუმენტად უნდა იქცეს.